ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის N81 დადგენილების
დანართი N1

(კოდიფიცირებულია ცვლილებებით/დამატებებით:
№06-01/97; 14.08.2019;
№06-01/01; 22.01.2024)

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“/„ბსუ“) აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას.

2. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონ სტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და სხვა აქტების შესაბამისად.

3. აკადემიურ საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“.

4. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია (სამუშაო ოთახია)ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული შენობის (პირველი კორპუსის) მე-2 სართულზე მდებარე ოთახი.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს სტატუსი და შემადგენლობა

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭო (შემდეგში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის წევრებიც 4 წლის ვადით აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში არიან: რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს წევრები.

3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს ჰყავს ერთი წარმომადგენელი.

4. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრი პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. *(ამოღებულია - №06-01/01; 22.01.2024)*

6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრად უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ აირჩევა სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

7. დაუშვებელია:

ა) ერთიდაიგივე პირი იყოს ორი ან მეტი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში;

ბ) აკადემიური საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი;

გ) აკადემიური საბჭოს წევრს, გარდა რექტორისა, ეკავოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობა;

დ) ერთიდაიგივე პირი იყოს წარმომადგენელი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან, ასევე უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტიდან;

ე) აკადემიური საბჭოს წევრს ეკავოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა.

8. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი სურვილი;

ბ) მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) გარდაცვალება;

დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) იმ ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლება, საიდანაც არჩეულია აკადემიურ საბჭოში;

ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება.

9. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში ტარდება არჩევნები უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად.

10. რექტორს უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უწყდება აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსი.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებები (ფუნქციები) *(ცვლილება- №06-01/01; 22.01.2024)*

1. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს (გამოსცეს) დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომლებსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (რექტორი).

2. აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების განხორციელების/ადმინისტრირების მარეგულირებელ ზოგად სამართლებრივ აქტებს, მათ შორის:

2.1. შეიმუშავებს და ამტკიცებს: უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას; მისიას, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმას (3-წლიანი); პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას; პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების ერთწლიან სამოქმედო გეგმებს;

2.2. ფაკულტეტების ან/და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

2.3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით: ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს; განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების წესს;

2.4. იღებს გადაწყვეტილებას სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ;

2.5. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (შემდეგში - ინსტიტუტის) დირექტორის კანდიდატურას;

2.6. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) წარდგინებით განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის დებულებას და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს;

2.7. განიხილავს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესს;

2.8. ფაკულტეტის წარდგინებით განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის) მიერ სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების და დისერტაციების შესრულებაში მონაწილეობის, აგრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საგრანტო

პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში ჩართვის წესს;
2.9. ამტკიცებს უნივერსიტეტის სიმბოლოებს (დროშას, გერბს და ჰიმნს);
2.10. ამტკიცებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას და ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;
2.11. აცხადებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელის - რექტორის არჩევნებს (აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების თანახმად, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით), რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ საჯაროდ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას) და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს რექტორს (აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე);
2.12. წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს კონკურსის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, შერჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
2.13. წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებულ, მოტივირებულ წინადადებას;
2.14. წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;
2.15. მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;
2.16. სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;
2.17. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის თანახმად, ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) საბჭოების წარდგინებით;
2.18. აწესებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს შესაბამისი მინისტრის მიერ დამტკიცებული საერთაშორისო გამოცდების ჩამონათვალით გათვალისწინებულ გამოცდაში, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) საბჭოების წარდგინებით;

2.19. ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;
2.20. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას;
2.21. წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;
2.22. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული მოტივირებული წინადადებით მიმართავს წარმომადგენლობით საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;
2.23. ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
2.24. განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის და ანაზღაურების პირობებს, მათ შორის სტუდენტთა ჯგუფებში ზღვრულ რაოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
2.25. შეიმუშავებს უნივერსიტეტის პროფესორებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესს (პროცედურულ საკითხებს და საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის მუშაობის წესს) და დასამტკიცებლად უგზავნის წარმომადგენლობით საბჭოს;
2.26. ამტკიცებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგებს;
2.27. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების მიზნით ამტკიცებს საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობას, რექტორის წარდგინებით;
2.28. ამტკიცებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესებს;
2.29. ირჩევს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორს;
2.30. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით თანამდებობიდან ათავისუფლებს (უფლებამოსილებას უწყვეტს) უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორს;
2.31. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.
2.32. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების (ან შეწყვეტის) თაობაზე, ბსუ-ს წესდებისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მოთხოვნათა დაცვით;
2.33. ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის აკადემიური წოდების

მინიჭების შესახებ, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;-
2.34. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესრულებისა და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნით, აკადემიური საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში ისმენს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშებს;
2.35. სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს აკადემიური საბჭოს რეგლამენტს;
2.36. თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს, რომლის ფუნქციებიც განისაზღვრება ამ რეგლამენტით;
2.37. წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;
2.38. იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის მიერ სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
2.39. ამტკიცებს სასწავლო/საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების განხორციელების/ადმინისტრირების მარეგულირებელ ზოგად სამართლებრივ აქტებს და მათი აღსრულებისათვის ქმნის სხვადასხვა კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს;
2.40. უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანხმად, არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;
2.41. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე რექტორის ვერარჩევის შემთხვევაში 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით (ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ);
2.42. საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით საქმიანობის წარმართვისათვის, უნივერსიტეტის მიზნების, ამოცანების, მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს და ამტკიცებს სხვადასხვა რეგულაციებს (პოლიტიკებს).

3. აკადემიური საბჭო ამ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების (ფუნქციების) გარდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უფლებამოსილია

განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, ეთიკის კოდექსით, უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

4. თუკი ამ მუხლში აღნიშნული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებების განხორციელება დაკავშირებული იქნება ფინანსურ/ეკონომიკურ საკითხებთან, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჩართულობით/კონსულტაციებით, ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ფინანსური/სამართლებრივი დასაბუთებით.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა 1/3-ის მიერ.

2. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომებს უძღვება რექტორი – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე რექტორის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას შეიძლება გაუძღვეს საბჭოს წევრთაგან არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

3. აკადემიური საბჭოს სხდომის დაწყებამდე, აკადემიური საბჭოს წევრი შესაბამის ფორმაზე ხელმოწერით აფიქსირებს სხდომაზე გამოცხადების ფაქტს (რეგისტრაცია სამდივნოში), რაც დაერთვის სხდომის ოქმს. აკადემიური საბჭოს წევრი ასევე ვალდებულია, სხდომის გამართვამდე წერილობით შეატყობინოს აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ და არაუგვიანეს მომდევნო სხდომისა, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ცნობა ან/და სხვა სახის მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. სამდივნოს უფროსი აკადემიური საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე წარუდგენს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას (დოკუმენტაციას) აკადემიურ საბჭოს.

5. აკადემიური საბჭოს წევრის სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებაში (ქალაქგარეთ) ან მივლინებაში ყოფნისას აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.

6. აკადემიური საბჭოს წევრის მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე ან/დასხვა დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3-ჯერ, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 6-ჯერ გამოუცხადებლობა მიიჩნევა აკადემიური საბჭოს წევრის მხრიდან ჩადენილ უხეშ დისციპლინურ გადაცდომად და არაეთიკურ ქმედებად.

7. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, დადგენილების პროექტთან ერთად, როგორც წესი, აკადემიური საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. აკადემიური

საბჭოს სამდივნოს უფროსი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით სხდომის დღის წესრიგის პროექტს (დადგენილებების პროექტებთან ერთად) დაუგზავნის აკადემიური საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ ორი დღის ვადაში დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები. აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საბოლოო პროექტი სამი დღით ადრე ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტრუქტურული ერთეულების (კანცელარიასთან, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების) საინფორმაციო დაფებზე. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. აკადემიური საბჭოს სხდომა არის საჯარო. საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეული იქნან პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან. კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. (თანხმობა დასტურდება ხელის აწევით). კენჭისყრის მიმდინარეობისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება.

9. აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური საბჭოს სხდომა ან მისი გარკვეული ნაწილი (რომელიმე საკითხის განხილვისას) დაიხუროს ან ჩატარდეს ფარული კენჭისყრა.

10. საბჭოს სხდომა მიმდინარეობს არაუმეტეს სამი საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე საბჭოს წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით.

11. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო საბჭოს წევრის მიერ მოსაზრების გამოთქმა - 5 წუთს. ერთი და იმავე საკითხზე მოსაზრება საბჭოს წევრმა შეიძლება გამოთქვას მხოლოდ ორჯერ. ეს დრო შეიძლება შეიცვალოს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

12. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილე წევრთა შემადგენლობის უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა. ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. აკადემიური საბჭოს წევრს არ აქვს ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლება.

13. აკადემიური საბჭო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე, მისთვის კანონმდებლობითა და წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, კენჭისყრის შედეგად იღებს დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს რექტორი – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და დაერთვის ოქმს.

14. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებული დადგენილება ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო ბსუ-ს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთში

,,ბათუმის უნივერსიტეტი“ - აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.

15. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი (ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მდივანი) ადგენს ოქმს. სხდომის მიმდინარეობა ასევე იწერება აუდიოფირზე (ჩაწერას და ასევე ჩანაწერის შენახვას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს სამდივნო.

16. აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის თავმჯდომარის, წევრების, ასევე მოწვეულ პირთა ვინაობა;

გ) დღის წესრიგი;

დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტის (მოკლე) შინაარსი;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

17. სხდომის ოქმს დაერთვის გამომსვლელთა (მომხსენებელთა) მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა.

18. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და საბჭოს სამდივნოს უფროსი (სხდომის მდივანი). ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება აკადემიური საბჭოს ბეჭედი.

19. აკადემიური საბჭო გამოსცემს წარდგინებას საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს წესდებისა და წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების (კომპეტენციის) ფარგლებში (წარმომადგენლობით საბჭოში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურების წარდგენა; აკადემიური საბჭოს მიერ განხილული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესების, შრომის ანაზღაურების პირობების, სხვადასხვა რეგულაციების წარდგენა; აკადემიური საბჭოს სხდომაზე აკადემიური საბჭოს წევრის ან/და მოწვეული პირის, ასევე მომხსენებლის მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე არაეთიკური ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით და სხვა). *(ცვლილება- №06-01/01; 22.01.2024)*

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს სამდივნო

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო.

2. აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი:

ა) აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის გამართვის თარიღს, სხდომის დღის წესრიგის პროექტს და ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის შესაბამისად, თანდართულ პროექტებთან და სხვა მასალასთან ერთად აწვდის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრებს;

ბ) ორგანიზებას უწევს სხდომის დღის წესრიგის პროექტისა და მიღებული დადგენილებების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში

ბსუ-ს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნებას;

გ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრების სხდომაზე გამოცხადების შესახებ ინფორმაციის (გამოცხადების შემთხვევაში - ხელმოწერებით დადასტურება; გამოუცხადებლობის შემთხვევაში - საპატიო მიზეზის მითითება) აღრიცხვას;

დ) აწარმოებს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმს და უზრუნველყოფს აუდიოფირზე ჩაწერის გამართულობას;

ე) ვალდებულია აკადემიური საბჭოს აქტები დროული მიაწოდოს (სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა) ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურული ერთეულებს და პირებს;

ვ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს საქმისწარმოებას (სამსახურეობრივი მიმოწერა, სხდომის ოქმების/დადგენილებების/წარდგინებების/განცხადებების აღრიცხვასა და კანონმდებლობით დადგენილი წესით შენახვას, ასევე აუდიოჩანაწერების შენახვას;

ზ) პასუხისმგებელია აკადემიური საბჭოს ბეჭდის გამოყენებაზე და შენახვაზე;

თ) უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული ინფორმაციის (სამართლებრივი აქტების), როგორც რეაქტიულ, ისე პროაქტიულ გამოქვეყნებას (საჯარო ინფორმაცია), ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;

ი) აწარმოებს აკადემიური საბჭოს წევრთა საკონტაქტო მონაცემების შეგროვებას და შენახვას, ასევე მათი სხდომაზე გამოუცხადებლობის მონაცემების სტატისტიკურ აღრიცხვას და ამ რეგლამენტით დადგენილი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სხდომაზე აწვდის ინფორმაციას აკადემიურ საბჭოს.

კ) ვალდებულია აკადემიურ საბჭოს დამატებით წარუდგინოს წლიური, გაერთიანებული ანგარიში, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ *(დამატება - №06-01/97; 14.08.2019)*

3. აკადემიური საბჭოს სამდივნო კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიური საბჭოს საქმისწარმოების მასალებს (ნომენკლატურის შესაბამისად) გადასცემს შესანახად ბსუ-ს კანცელარიას (არქივს).

მუხლი 6. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.